ოქმი:ო31. 3124233001
თარიღი:20/08/2024

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

ოქმი №8

ქ. ლანჩხუთი

15. 08. 2024 წელი

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე კარლო კვიტაიშვილი, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე(საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მომართვის საფუძველზე), საკრებულოს ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე მაკა მშვიდობაძე, საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის უფროსი თამარ ფირცხალაიშვილი, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი ირაკლი ხუხუნაიშვილი, მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა,

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ ბიუროს სხდომის

დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ მერიიდან შემოვიდა რამდენიმე საკითხი და მიმართა ბიუროს წევრებს, რომ აღნიშნული საკითხები დამატებოდა დღის წესრიგის პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტის საბოლოო ვარიანტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი თამარ ფირცხალაიშვილი/

2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ექვსი თვის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

3. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ივლისის თვის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, შპს ,,ბიბლუსისთვის” პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ირაკლი ხუხუნაიშვილი/

5.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 18 აპრილის N11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/

6. სხვადასხვა საკითხები.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის დაწყებამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ იმსჯელა საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღის შესახებ.

საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვრა 2024 წლის 27 აგვისტო 12:00 საათი.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის უფროსმა **თამარ ფირცხალაიშვილმა.** მან განმარტა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტის თანახმად უსახლკაროთა თავშესაფრით უზრუნველყოფა და რეგისტრაცია განეკუთვნება მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას. ასევე „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მონაწილეობენ შეფასების სისტემაში; უსახლკარო პირებს უზრუნველყოფენ თავშესაფრით; აწარმოებენ თავშესაფარში მყოფი პირების რეგისტრაციას და უზრუნველყოფენ რეგისტრირებული უსახლკარო პირების შესახებ ინფორმაციის სააგენტოსათვის ხელმისაწვდომობას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით აუცილებელია უსახლკარო პირი – მუდმივი, განსაზღვრული საცხოვრებელი ადგილის არ მქონე პირი, იყოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში რეგისტრირებული როგორც უსახლკარო. მიზანშეწონილად მიგვაჩნია „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა და მიღება.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. წინამდებარე წესი ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტს, „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონსა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს.

2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესი (შემდგომში – წესი) განსაზღვრავს რეგისტრაციის კრიტერიუმებს, პროცედურებსა და საცხოვრისით დაკმაყოფილების პირობებს.

3. ეს წესი არ ვრცელდება: ა) პირებზე, რომელთა რეგისტრაცია ან/და დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფა, შესაბამისი კანონმდებლობით, სხვაგვარად არის

დარეგულირებული; ბ) პირებზე, რომელთა რეგისტრაციის ხანგრძლივობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში არ აღემატება 2 წელს; გ) პირებზე, რომელთა საცხოვრებელი ფართის დაკარგვის ფაქტი ფიქსირდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების გარეთ; დ) პირზე, თუ მას აქვს საკუთრების, მართლზომიერი მფლობელობისა თუ სარგებლობის უფლება სხვა საცხოვრებელ/არასაცხოვრებელ ფართზე/მიწის ნაკვეთზე; ე) ოჯახი, რომელიც რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში და მისი სარეიტინგო ქულა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით 200 000 და მეტია.

4. ტერმინთა განმარტება: ა) უსახლკარო პირი – მუდმივი, განსაზღვრული საცხოვრებელი ადგილის არ მქონე პირი, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში რეგისტრირებულია როგორც უსახლკარო; ბ) ოჯახი – სისხლით ნათესაობისა და ქორწინების ნიადაგზე შექმნილი მცირე სოციალური ჯგუფი, რომლის წევრები ერთმანეთთან დაკავშირებული არიან საერთო საცხოვრებელი სივრცითა და ეკონომიკური და მორალური პასუხისმგებლობებით; გ) მარტოხელა მშობელი – სამოქალაქო კოდექსის 1191I მუხლით გათვალისწინებული მარტოხელა დედის ან მარტოხელა მამის სტატუსის მქონე პირი;

5. უსახლკარო პირთა კატეგორია: ა) ჭერის არმქონე პირები – ეს ჯგუფი მოიცავს იმ პირებს რომლებიც ცხოვრობენ ღია ცის ქვეშ; ბ) სახლის არმქონე პირები – კატეგორია მოიცავს იმ პირებს, რომლებიც ცხოვრობენ მათთვის დროებით განკუთვნილ დაწესებულებებში. მაგ. უსახლკაროთა საცხოვრისში, ქალთა თავშესაფრებში ან სხვა ტიპის თავშესაფარში, სხვადასხვა ინსტიტუციებში (სამედიცინო ინსტიტუციებში, ბავშვთა ინსტიტუციებში) რეზიდენტული ზრუნვის დაწესებულებაში; გ) საფრთხის შემცველ/ არასაიმედო გარემოში მცხოვრები პირები – კატეგორია მოიცავს იმ პირებს, რომლებიც ცხოვრობენ გამოსახლების საფრთხის ქვეშ, ასევე, დროებით ცხოვრობენ ნათესავთან ან მეგობრებთან; დ) არასათანადო გარემოში მცხოვრები პირები – კატეგორია მოიცავს იმ პირებს, რომლებიც ცხოვრობენ საცხოვრისად გამოუსადეგარ კონსტრუქციებში ან ნაგებობებში, ასევე ცხოვრებისათვის გამოუსადეგარ სახლებში.

მუხლი 2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის სამუშაო ჯგუფი.

1. ამ წესის განხორციელების მიზნით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე იქმნება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის სამუშაო ჯგუფი (შემდგომში – „სამუშაო ჯგუფი“).

2. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შედიან: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირები, საკრებულოს წევრები და სხვა თანამშრომლები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

3. სამუშაო ჯგუფი შედგება არანაკლებ 7 (შვიდი) წევრისგან, მათ შორის სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, მდივნისა და სხვა წევრებისაგან.

4. თავმჯდომარეს, მისი არყოფნის შემთხვევაში, ცვლის სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის მოადგილე.

5. სამუშაო ჯგუფის წევრი ვალდებულია: ა) მონაწილეობა მიიღოს სამუშაო ჯგუფი სხდომებში და არ გამოტოვოს სხდომა არასაპატიო მიზეზით; ბ) დაიცვას წინამდებარე წესით განსაზღვრული მოთხოვნები; გ) დაიცვას საქართველოს ნორმატიული აქტებით განსაზღვრული ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

6. სამუშაო ჯგუფის სხდომები საჯაროა.

7. სამუშაო ჯგუფის სხდომა უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება ჯგუფის წევრთა ნახევარზე მეტი.

8. სამუშაო ჯგუფის სხდომას შეიძლება დაესწრონ სხვადასხვა საჯარო დაწესებულების, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ცალკეული დარგის ექსპერტები/ სპეციალისტები ან/და სხვა მოწვეული პირები. ჯგუფის სხდომაზე დასასწრებად შეიძლება

მოწვეულ იქნენ დაინტერესებული პირები.

9. სამუშაო ჯგუფი უფლებამოსილია: ა) შეამოწმოს სამუშაო ჯგუფის სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილი განცხადების (დოკუმენტების) სისრულე, საფუძვლიანობა და მათი შესაბამისობა წესის მოთხოვნებთან. ბ) მიიღოს გადაწყვეტილება განცხადების განხილვის- მისი დაკმაყოფილების ან მასზე უარის თქმის შესახებ;

10. სამუშაო ჯგუფი ვალდებულია უზრუნველყოს საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოებების გამოკვლევა, და მოისმინოს დამსწრე, დაინტერესებული მხარის მიერ საქმესთან დაკავშირებული მოსაზრება.

11. სამუშაო ჯგუფი სხდომაზე გადაწყვეტილებებს იღებს ღია კენჭისყრით.

12. სამუშაო ჯგუფის სხდომა ფორმდება ოქმით.

13. სამუშაო ჯგუფის მიერ თითოეულ განცხადებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება (დაკმაყოფილება, უარი) უნდა იყოს დასაბუთებული, რაც აისახება ოქმში.

14. ოქმს ხელს აწერენ ჯგუფის თავმჯდომარე და სხდომის მდივანი;

15. სამუშაო ჯგუფი სხდომის ოქმები და საქმისწარმოების სხვა მასალები ინახება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

16. სამუშაო ჯგუფი ვალდებულია რეგისტრირებული უსახლკარო პირების საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების შემდეგ უზრუნველყოს მიმდინარე გარემოებათა გამოკვლევა (მ.შ. წესითა და ხელშეკრულებით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვის მონიტორინგი).

მუხლი 3. უსახლკარო პირების რეგისტრაციის პროცედურები.

1. სტატუსის მიღებით დაინტერესებული პირი ვალდებულია წარადგინოს მერიაში ამ წესით დამტკიცებული განაცხადის ფორმა.

2. განცხადებას თან უნდა ერთოდეს: ა) უსახლკარო პირების რეგისტრაციის შესახებ სპეციალური შევსებული ფორმა (დანართი №2); ბ) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მოწმობის ფოტო ასლი; გ) განმცხადებლის ოჯახის წევრების პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები. (არასრულწლოვანი პირების შემთხვევაში დაბადების მოწმობის ფოტო ასლები); დ) ცნობა საჯარო რეესტრიდან, განმცხადებლის და მისი ოჯახის წევრის სახელზე ქონების რეგისტრაციის არსებობის შესახებ; ელექტრონული რეგისტრაციის არ ქონის შემთხვევაში, ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მიერ გაცემული ცნობა; ე) ცნობა შემოსავლების სამსახურიდან განმცხადებლის და ოჯახის წევრის სახელზე შემოსავლების შესახებ; ვ) ინფორმაცია რეგისტრაციის ადგილის თაობაზე სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან; ზ) ამ წესის მე- 4 მუხლის მეორე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, დამატებით უნდა წარმოადგინოს ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან.

3. ამ წესის მე-4 მუხლის მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში დამატებით უნდა წარმოადგინოს: ა) შშმ პირის სტატუსის დამადასტურებელი მოწმობა; ბ) განმცხადებლის და მისი ოჯახის წევრების ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (ფორმა №IV- 100/ა); გ) განცხადების განხილვის პროცესში, საჭიროების შემთხვევაში, სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილებით შესაძლებელია მოთხოვნილ იქნას დამატებითი დოკუმენტაცია.

4. რეგისტრაციის პროცესის უზრუნველყოფის მიზნით, ჯგუფი უფლებამოსილია აწარმოოს საინფორმაციო კამპანია, ადმინისტრაციული ერთეულების საზღვრებში მერის წარმომადგენლების მიერ განსახორციელებელი მოკვლევები და შესაბამისი ფაქტის დადგენის სხვა პროცედურები.

5. რეგისტრირებულად ითვლება პირი, რომელიც წარმოადგენს სრულყოფილად შევსებულ უსახლკარო პირების რეგისტრაციის განცხადების ფორმას და შესაბამის

დოკუმენტაციას, მერის შესაბამისი ბრძანების გამოცემის შემთხვევაში.

6.უსახლკარო პირების რეგისტრაცია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისათვის არ წარმოშობს უსახლკაროდ რეგისტრირებული პირის დროებითი საცხოვრისით რაიმე კონკრეტულ ვადაში აუცილებელი დაკმაყოფილების ვალდებულებას. უსახლკაროდ რეგისტრირებული პირის დროებითი საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილება მოხდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის შესაძლებლობებისა და დროებითი საცხოვრებელი ფართების არსებული რესურსის შესაბამისად.

7. ადმინისტრაციული ერთეულების საზღვრებში მერის წარმომადგენლებისა და სხვა სახელმწიფო უწყებების მიერ განხორციელებული მოკვლევების შედეგად გამოვლენილი ჭერის არმქონე პირები, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილების საფუძველზე, ექვემდებარებიან უპირობო რეგისტრაციას.

8. პირები, რომლებმაც ამ წესის ამოქმედებამდე ორი წლის განმავლობაში, დაკარგეს საცხოვრებელი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილების საფუძველზე, ექვემდებარებიან უპირობო რეგისტრაციას.

9. უსახლკარო პირების რეგისტრაცია გამოირიცხება ან გაუქმდება, თუ: ა) ოჯახის ქონებრივი მდგომარეობის, საოჯახო ან/და სხვა ისეთი გარემოების გამოვლენისას, რაც ადასტურებს განმცხადებლის/რეგისტრირებული პირის შესაძლებლობას უზრუნველყოფილ იყოს საცხოვრისით საკუთარი შესაძლებლობებით ან მის მიმართ ვრცელდება მესამე პირის ვალდებულება (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის გათვალისწინებით) საცხოვრისით უზრუნველყოფაზე; ბ) პირი/ოჯახი აღარ აკმაყოფილებს ამ წესით განსაზღვრულ კრიტერიუმებს.

10. რეგისტრაციის გაუქმება იწვევს დროებითი საცხოვრისი ფართით სარგებლობის შეწყვეტას.

11. პირის უსახლკაროდ რეგისტრაციაზე ან/და რეგისტრაციაზე უარის თქმის თაობაზე სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილების საფუძველზე მუნიციპალიტეტის მერი გამოსცემს ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს ბრძანების სახით.

მუხლი 4. შეფასების პროცედურები

1.დროებითი საცხოვრისის უზრუნველყოფისათვის უსახლკაროდ რეგისტრირებულ პირთა რიგითობა განისაზღვრება ჯგუფის მიერ მინიჭებული შეფასების საფუძველზე.

2.უსახლკაროდ რეგისტრირებულ პირთა შეფასება ხდება სამუშაო ჯგუფის მიერ შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

ა) ოჯახის სარეიტინგო ქულა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით:

ა.ა) ოჯახები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულა არის 57001-ზე ნაკლები – 10 ქულა;

ა.ბ) ოჯახები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულა არის 70001-ზე ნაკლები – 8 ქულა;

ა.გ) ოჯახები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულა არის 100 001-ზე ნაკლები – 6 ქულა;

ა.დ) ოჯახები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულა არის 100 001-ზე მეტი – 4 ქულა

ბ) შშმ პირი:

ბ.ა) მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები – 10 ქულა;

ბ.ბ) მნიშვნელოვნად გამოხატული ან/და 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები –8 ქულა;

ბ.გ) ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები –5 ქულა.

გ) არასრულწლოვან პირთა (18 წლამდე) რაოდენობა ოჯახში:

გ.ა) 1-დან 3-ის ჩათვლით – 2 ქულა;

გ.ბ) ყოველ შემდეგ პირზე –1 ქულა. დ) მარჩენალდაკარგული პირები – 3 ქულა. ე) სახელმწიფო პენსიის მიმღები პირები – 2 ქულა;

ვ) მარტოხელა მშობელი – 2 ქულა;

ზ) მრავალშვილიანი ოჯახი – 2 ქულა.

3. შეფასების საბოლოო ქულა დგინდება ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით მინიჭებული ქულების შეჯამებით.

4. მინიჭებული ქულა ძალაშია შეფასების განხორციელებიდან ორი წლის განმავლობაში.

5. დროებითი საცხოვრისით დასაკმაყოფილებელი პირების რიგითობა დგინდება ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად მინიჭებული საბოლოო ქულების სიდიდის მიხედვით.

6. შეფასებისას თანაბარი საბოლოო ქულების მიღების შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ყველაზე დაბალი საარსებო შემწეობის მისაღები ზღვრული ქულის მქონე პირს/ ოჯახს.

7. ამ წესის მე-3 მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტებით რეგისტრირებული პირები დროებითი საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებას ექვემდებარებიან დაუყოვნებლივ, მე-4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული შეფასებისა და რიგითობის გარეშე.

8. ყოველი შემდგომი შეფასება მოხდება წინა შეფასებიდან ორი წლის შემდეგ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის შესაძლებლობებისა და არსებული საცხოვრებელი ფართების რესურსების შესაბამისად.

9. საცხოვრისის დროებით სარგებლობაში გადაცემა ხორციელდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით, რომლის საფუძველს წარმოადგენს შესაბამისი ჯგუფის გადაწყვეტილება.

მუხლი 5. საცხოვრებლით სარგებლობის ვადა და პირობები

1. საცხოვრისით სარგებლობის მინიმალური ვადა განისაზღვრება ხუთი წლით, ხოლო შემდგომი ვადა დამოკიდებულია მონიტორინგის შედეგებზე, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისა და პირობების შესრულებასა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განახლებული მონაცემების გათვალისწინებით (სარეიტინგო ქულა).

2.საცხოვრისით მოსარგებლე პირს უფლება აქვს ნებისმიერ დროს უარი თქვას გადაცემული ფართით სარგებლობაზე, რაც ავტომატურად იწვევს მისთვის რეგისტრაციის, ქულისა და რიგითობის გაუქმებას.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს უფლება აქვს პირს შესთავაზოს საცხოვრებელი ფართის ქირით უზრუნველყოფა არაუმეტეს 1 წლით. ქირის მაქსიმალური თვიური ოდენობა განისაზღვროს არაუმეტეს 150 (ას ორმოცდაათი) ლარით.

4.დროებითი საცხოვრებლით მოსარგებლე პირთან ფორმდება ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება ორმხრივი უფლებები და ვალდებულებები.

5.დროებითი საცხოვრებლით მოსარგებლე პირი ვალდებულია დროულად გადაიხადოს კუთვნილი კომუნალური გადასახადები.

6. დროებითი საცხოვრებელი ფართების არსებული რესურსის შესაბამისად ჯგუფის უფლება აქვს სულადობის მიხედვით მოახდინოს ფართების მონაცვლეობა.

მუხლი 6. დასკვნითი დებულება

წინამდებარე წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ზაზა წულაძე** დაინტერესდა, რომ ბაზის შექმნა ხომ არ არის იმის წინაპირობა, რომ უსახლ-კარო ადამიანებისთვის ხელისუფლება აპირებს რაიმეს ყიდვას, რაზეც მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ ხდება აღრიცხვა, რათა მუნიციპალიტეტი ფლობდეს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ აღნიშნული კატეგორიების მიხედვით რამდენი ადამიანია უსახლ-კაროდ დარჩენილი, რათა სახელმწიფომ ამ მიმართულებით შეიმუშაოს გარკვეული პოლიტიკა. აქედან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის მხრივ არ წარმოიშობა რაიმე ვალდებულება გარდა იმისა, რომ თავისი რესურსის და ფინანსური შესაძლებლობის ფარგლებში უპირველესად, განახორციელოს ამ მოქალაქეების თავშესაფრით უზრუნველყოფა მანამ, სანამ მუნიციპალიტეტის თუ სახელმწიფოს მხრიდან არ მოხდება მათი რაიმეთი დაკმაყოფილება. იმ შემთხვევაში, თუ მუნიციპალიტეტს წარმოეშობა რაიმე თავისუფალი ქონება, შესაძლებელი იქნება დაკმაყოფილდეს შესაბამის სტატუს მინიჭებული მოქალაქე.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია.

2.დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ლანჩხუთი საქართველოსთვის“. 3.პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 აგვისტოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4.მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური სერვისების სამსახურის უფროსი თამარ ფირცხალაიშვილი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების

პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ექვსი თვის შესრულების ანგარიში სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში მობილიზებულია შემოსავლები 16,258,4 ათ. ლარი, აქედან გადასახადები 6,938,4 ათ.ლარი, გრანტები 6,889,8 ათ.ლარი, სხვა შემოსავლები 2,430,2 ათ.ლარი, შესაბამის პერიოდისათვის გაწეულია 9,7806 ათ.ლარის ხარჯი, აქედან, შრომის ანაზღაურებაზე მიმართულია 3,736,2 ათ. ლარი, საქონელი და მომსახურების მუხლით გაიხარჯა 4,574,1 ათ. ლარი.

2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთი შეადგენდა 6939,4 ათას ლარს, მათ შორის განკარგულებებით გამოყოფილი თანხების ნაშთი შეადგენდა 2445,3 ათას ლარს , საიდანაც 2082,8 ათასი ლარი მიიმართა 2024 წლის ბიუჯეტში სხვადასხვა პროექტების დასაფინანსებლად. ასევე მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად და ინფრასტრუქტურული ობიექტების ნაწილობრივ ან მთლიანად დაფინანსებისთვის გაწერილია 2024წლის ბიუჯეტში 2306,6 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის გადასახდელების დაფინანსებამ 18154.8 ათასი ლარი, რაც გეგმური მაჩვენებლის (23918.1 ათ ლარი) 75,9 %-ია.

2024 წლის II კვარტალში მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯებმა 4358.2 ათ ლარი შეადგინა, რაც გეგმური მაჩვენებლის (5407.6 ათ ლარი) 80.6 % პროცენტია. აღნიშნული პროგრამით დაფინანსდა შემდეგი მიმართულებები : 1. მმართველობითი ხარჯი: მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობა -637.6 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის მერია 3018.3 ათ ლარი, 2. საერთო დანიშნულების ხარჯი : მუნიციპალიტეტის ვალდებულების მომსახურება და დაფარვა -35.4 , ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა -666.9 ათ ლარი. სარეზერვო ფონდიდან 2024 წლის II კვარტალში გახარჯულია მერის ბრძანების საფუძველზე.

ინფრასტრუქტურის განვითარება საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 7127.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 71,5 პროცენტია.

დასუფთავების და გარემოს დაცვა საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 1107.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 79,7 პროცენტია. გამოყოფილი სახსრებიდან 968.1 ათასი ლარი მოხმარდა მუნიციპალიტეტის დასუფთავებას და ნარჩენების გატანას, მწვანე ნარგავების მოვლა პატრონობა და განვითარებაზე დაიხარჯა 134.3 ათასი . უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებებზე გაიხარჯა 4,9 ათ ლარი.

საგანმანათლებლო ღონისძიებებზე 2024 წლის 2 კვარტალში გაიხარჯა 2957,4 ათასი ლარის ოდენობით, რაც გეგმის - 85,3 პროცენტია. აღნიშნული თანხებიდან სკოლამდელი აღზრდის დაფინანსებაზე მიმართული იქნა 1908,2 ათასი ლარი, საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირების დაფინანსებაზე დაიხარჯა 1035 ათასი ლარი რაც გეგმის 91,5 %-ია.

სპორტულ, ახალგაზრდულ და კულტურულ ღონისძიებებზე გაწეული იქნა 2,133 ათასი ლარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2948,8 ათასი ლარისა, ანუ გეგმის 72,3 პროცენტი. აღნიშნულის სახსრებიდან სპორტის განვითარებას მოხმარდა 989,9 ათასი ლარი, კულტურის განვითარებას - 1133,8 ათასი ლარი, ახალგაზრდობის მხარდაჭერაზე - 9,3 ათასი ლარი.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამები დაფინანსდა 535,3 ათასი ლარით 72,1 %-ით ,მათ შორის საზოგადოებრივი

ჯანდაცვის დაფინანსებას მოხმარდა 99,5 ათასი ლარი, ხოლო სოციალურ დაცვას 435,8 ათასი ლარი.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრის მიზანია სკოლამდელ დაწესებულებებში უზრუნველყოს თითოეული ბავშვის მრავალმხრივი განვითარება თამაშზე დაფუძნებული და ბავშვზე ორიენტირებული მიდგომით, სკოლამდელ დაწესებულებაში მზრუნველი და მასტიმულირებელი გარემოს შექმნა პერსონალის კომპეტენციების ამაღლებით და ოჯახებთან მჭიდრო თანამშრომლობით.

2024 წლისათვის 16 ტერიტორიულ ერთეულში ფუნქციონირებს 19 საბავშვო ბაღი, რომელშიც ირიცხება 800 აღსაზრდელi. აშენდა 5 ახალი საბავშვო ბაღი (ნიგვზიანის, ნინოშვილის, აკეთის, გულიანის და ღრმაღელის). რეაბილიტაცია უტარდება ჩიბათის, ეწრის, ჯურუყვეთის და შრომისუბნის ბაღებს.

ქვეპროგრამის ფარგლებში სკოლამდელი სააღმზრდელო ცენტრის ექვსი თვის გეგმა შეადგენს 2309300 (ორი მილიონ სამასცხრაათას სამასი ლარი) ლარს, საიდანაც გახარჯულია 1908210 (ერთი მილიონ ცხრაასრვაათას ორასათი ლარი) ლარი.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „კულტურის დაწესებულებათა გაერთიანება“ არის კულტურულ-შემოქმედებითი დაწესებულება, რომლის ძირითადი მიზანი და ამოცანებია: მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია, შემოქმედებითი უნარების განვითარება; კულტურულ ღონისძიებათა ორგანიზება და გამართვა, თეატრალური სფეროსადმი, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმებისადმი მოსახლეობის დაინტერესების ზრდა და ჩართულობის გაზრდა.

ქვეპროგრამის ფარგლებში ექვსი თვის გეგმა შეადგენს 766200 ლარს, საიდანაც გახარჯულია 616923 ლარი.

2024 წლის 1 იანვრისათვის ანგარიშზე საკუთარი შემოსავლებიდან ნაშთმა შეადგინა 6248 ლარი.

2024 წელს საკუთარი შემოსავლების 6 თვის გეგმა შეადგენს - 17500 ლარს, შემოსულია -10067 ლარი. აქედან გახარჯულია -8286,5 ლარი. ანგარიშზე ნაშთის სახით 2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით დარჩა - 8029,26 ლარი.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა ქვეპროგრამის ფარგლებში ახორციელებს მოზარდების ჩართულობას ფეხბურთში, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებასა და მუნიციპალიტეტის წარმოჩენას ფეხბურთში ქვეყნის მასშტაბით. სკოლა შეუფერხებლად და უფასოდ იღებს ნებისმიერ მსურველ მოზარდს შესაბამის ასაკობრივ ჯგუფში, სადაც უტარდებათ რეგულარული ვარჯიშები.

დღეის მდგომარეობით საფეხბურთო სკოლას ჰყავს 9 ასაკობრივი გუნდი ვაჟებში და ერთი გოგონათა გუნდი, სულ 220 მოზარდი. სკოლაში დასაქმებულია 42 ადამიანი, აქედან უშუალოდ სპორტსმენებთან დასაქმებულია 20 მწვრთნელი, ტექნიკური და ადმინისტრაციული პერსონალი 22.

ქვეპროგრამის ფარგლებში ექვსი თვის გეგმა შეადგენს 252700 ლარს, საიდანაც გახარჯულია 232302 ლარი.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლათა გაერთიანება არის შემოქმედებითი საგანმანათლებლო -სააღმზრდელო დაწესებულება, რომლის ძირითადი მიზნები და ამოცანებია პიროვნების ინდივიდუალური შემოქმედებითი მიდრეკილებების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა, სახელოვნებო სკოლათა გაერთიანებაში შემავალი სკოლების მოსწავლეებისათვის ეროვნული, კულტურული მემკვიდრეობის, ქართული და მსოფლიო ხელოვნების ნიმუშების გაცნობა და შეყვარება, კულტურული ღონისძიებების ჩატარება მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე, ფასიანი საქველმოქმედო ღონისძიებების მოწყობა, მონაწილეობის მიღება ფესტივალებში,

კონკურსებში, ფორუმებში, სხვადასხვა გამოფენებში, როგორც საქართველოში, ისევე, საზღვარგარეთ.

ქვეპროგრამის ფარგლებში ექვსი თვის გეგმა შეადგენს 273500 ლარს, საიდანაც გახარჯულია 256577 ლარი. 2024 წლის 1 იანვრისათვის ანგარიშზე საკუთარი შემოსავლებიდან ნაშთმა შეადგინა 8380 ლარი.

2024 წელს მშობელთა შემონატანის 6 თვის გეგმა შეადგენს - 21330 ლარს, შემოსულია -17644 ლარი. ანგარიშზე ნაშთის სახით 2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით დარჩა - 3505.75 ლარი

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტულ ცენტრის მიზანია ხელი შეუწყოს 18 წლამდე მოზარდების ფსიქოლოგიური, სოციალურ ემოციური შესაძლებლობების განვითარებას, მოსწავლის ფიზიკური აქტივობის ხელშეწყობას, ფიზიკურ აქტივობაში მონაწილეობისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევების გამომუშავებას (დამოუკიდებლად გადაწყვეტილებების მიღება, პასუხისმგებლობა, კონსტრუქციული თანამშრომლობა, შემწყნარებლობა) თვითკონტროლისა და ორგანიზებულობის უნარების განვითარებას.

ქვეპროგრამის ფარგლებში ექვსი თვის გეგმა შეადგენს 371500 ლარს, საიდანაც გახარჯულია 334800 ლარი. სპორტის სხვადასხვა სახეობებმა 2024 წლის 6 თვეში მანძილზე 51-ჯერ მიიღეს მონაწილეობა ქვეყნის მასშტაბით დაგეგმილ სპორტულ ღონისძიებებში.

ა(ა)იპ ლანჩხუთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის პრიორიტეტს წარმოადგენს ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობა, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება, მოსახლეობაში გადამდები და არაგადამდები დაავადებებით გამოწვეული სიკვდილიანობისა და ავადობის შემცირება, ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების თავიდან აცილება.

პროგრამის ფარგლებში ექვსი თვის გეგმა შეადგენს 135000 ლარს, გახარჯულია 99541 ლარი.

შრომის ანაზღაურება - გეგმა-75000 ლარი, გახარჯულია-73848ლარი. 2024 წლის 1 იანვრისთვის ანგარიშზე საკუთარი შემოსავლებიდან ნაშთმა შეადგინა 7624.55 ლარი. საკუთარი შემოსავალი იყო-8296.88 ლარი, გაიხარჯა-5739 ლარი და 01.07.2024 წლის მდგომარეობით ანგარიშზე ნაშთის სახით დარჩა - 10182.43 ლარი.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი ახორციელებს დასუფთავების ღონისძიებებს. ამ მიზნით მუნიციპალიტეტი ნაყოფიერად თანამშრომლობს მუნიციპალური განვითარების ფონდთან, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალური განვითარების ფონდის სესხით შეძენილი იქნა ნაგვის ურნები. ასევე, მუნიციპალიტეტს გადმოეცა ნაგავმზიდი მანქანები. ქვეპროგრამის ფარგლებში ექვსი თვის გეგმა შეადგენს 1239000 ლარს, საიდანაც გახარჯულია 968120 ლარი. არაფინანსური აქტივების ხარჯი გეგმით 110000 ლარი, გახარჯულია - 7349 ლარი. საკუთარი სახსრების ექვსი თვის გეგმა შეადგენს - 3600 ლარს, საიდანაც გახარჯულია_ 1150 ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი ახორციელებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება, მის პერიოდულ შეკეთებას. დღეის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. ლანჩხუთში, ასევე 15 ადმინისტრაციულ ერთეულში. გარე განათების ქსელით მოცულია დასახლებული ტერიტორიების 75%. (დასახლებულ პუნქტში). ქვეპროგრამის ფარგლებში ექვსი თვის გეგმა შეადგენს 157000 ლარს, საიდანაც გახარჯულია 90547 ლარი.

მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობის კუთხით ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის მიერ საგაზაფხულო სამუშაოების ფარგლებში გასუფთავდა და კეთილმოეწყო, როგორც

ქალაქის, ისე მიმდებარე ტერიტორიები. ქვეპროგრამის ფარგლებში ექვსი თვის გეგმა შეადგენს 139500 ლარს, საიდანაც გახარჯულია 134258 ლარი.

წყლის სისტემების ექსპლოატაცის მიზნით, ქვეპროგრამის ფარგლებში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 15 ადმინისტრაციულ ერთეულში (გარდა ქ. ლანჩხუთისა) ხორციელდება 5600 კომლის წყალმომარაგება, რაც მიზნად ისახავს სოფლის მოსახლეობის შეუფერხებელ წყლის მიწოდებას. ქვეპროგრამის ფარგლებში ექვსი თვის გეგმა შეადგენს 85425 ლარს, საიდანაც გახარჯულია 60081 ლარი.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრს გადმოეცა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ შეძენილი 5 ავტობუსი მარკა ISUZU NOVOCITI BUS, რომელიც იმოძრავებს ლანჩხუთის სოფლების მიმართულებით. მუნიციპალიტეტის მიერ იჯარით არის გაცემული ე.წ. სატრანსპორტო ხაზი. 5 ავტობუსის მგზავრთა გადაადგილების თანხას და სატრანსპორტო ხაზის ფლობის საიჯარო ქირას კერძო სატრანსპორტო კომპანიები რიცხავენ ა(ა)იპ-ის ანგარიშზე. ქვეპროგრამის ფარგლებში ექვსი თვის გეგმა შეადგენს - 88000 ლარს, საიდანაც გახარჯულია -24008 ლარი.

უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიების ფარგლებში, ა(ა)იპ მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით ახორციელებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებული მაწანწალა ძაღლების თავშესაფარში გადაყვანას. ქვეპროგრამის ფარგლებში ექვსი თვის გეგმა შეადგენს - 10000 ლარს, საიდანაც გახარჯულია- 4872 ლარი.

სხვა დანარჩენი საქნელი და მომსახურების ხარჯი გეგმით - 10000 ლარი, გახარჯულია - 4872 ლარი;

ბიუროს წევრების მიერ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ექვსი თვის შესრულების ანგარიშთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

ცნობად იქნას მიღებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ექვსი თვის შესრულების ანგარიში.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ივლისის თვის შესრულების ანგარიში სხდომას წარუდგინა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ივლისის თვეში შემოსულობები მობილიზებულია 2260068 ლარი, მათ შორის შემოსავლები (კაპიტალურის ჩათვლით) 1696747 ლარი, აქედან დამატებითი ღირებულების გადასახადი 1273405 ლარი, სხვა შემოსავლების სახით მიღებულია 398401 ლარი, მათ შორის ჯარიმები, სანქციები და საურავების სახით მიღებულია 330886 ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გრანტების სახით მიღებულია 563321 ლარი; მათ შორის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მიღებულია 400000 ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილებისთვის -163321 ლარი.

საანალიზო თვეში გაწეული იქნა 2282679 ლარის საკასო ხარჯი. მათ შორის - შტატით მომუშავეთა შრომით ანაზღაურებაზე გაიცა 803807 ლარი; საქონელი და

მომსახურების მუხლზე მიმართულია 634479 ლარი; მათ შორის- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე - 291479 ლარი; ოფისის ხარჯებზე მიიმართა 66069 ლარი; ტრანსპორტის მოვლა-შენახვაზე გახარჯულია 190689 ლარი; სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებებზე - 111131 ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდაზე მიმართული იქნა 507287 ლარი.

ბიუროს წევრების მიერ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ივლისის თვის შესრულების ანგარიშთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

ცნობად იქნას მიღებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ივლისის თვის შესრულების ანგარიში.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, შპს ,,ბიბლუსისთვის" პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა **ირაკლი ხუხუნაიშვილმა**. მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით მომართა შპს ,,ბიბლუსის" (ს/ნ - 404908043) დირექტორმა ირაკლი გაგნიძემ, რომელმაც გამოთქვა მზაობა გააგრძელოს სამართლებრივი ურთიერთობა მერიასთან და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ქ. ლანჩხუთში ჟორდანიას ქ. N103-სა და ჟორდანიას ქ. N105-ს შორის მდებარე 168 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს/კ 27.06.56.081)) სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით, გააფორმოს ახალი ხელშეკრულება. მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოსაზრებაა, რომ შპს „ბიბლუსს" (ს/ნ 205254892) ხუთი წლის ვადით, გადაეცეს მის მიერ მოთხოვნილი უძრავი ქონება პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით. აღნიშნულმა სამსახურმა ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის 669 დადგენილების 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სარგებლობის უფლებით გადასაცემი უძრავი ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურიდან 50 400 (ორმოცდაათიათას ოთხასი) ლარიდან განსაზღვრა უძრავი ქონების წლიური ქირის ოდენობა, რომელიც შეადგენს 5040 (ხუთიათას ორმოცი) ლარს.

მუნიციპალიტეტის მერის განცხადებით, კონკრეტულ კომპანიასთან წლების განმავლობაში არის დავა ძველი ვალდებულებების გადახდასთან დაკავშირებით. მასთან დაიდო ხელშეკრულება შესაბამისი პირობებით. საბოლოოდ, მიღწეული იქნა, რომ კომპანია წლის ბოლომდე დაფარავს ბოლო თორმეტი წლის განმავლობაში დაგროვებულ ვალს, რაც მაშინდელი შეფასებით, არ შეადგენს დიდი ოდენობის თანხას. ამასთან, ყოველთვიური თანხა თითქმის გაუსამმაგდა.

მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა თავის მხრივ აღნიშნა, რომ კომპანიასთან მიმდინარეობს სასამართლო დავა, მის მიერ 2020 წლამდე დაგროვებულ დავალიანებასთან დაკავშირებით. დღემდე არსებულ ვალდებულებას გადაიხდის მიმდინარე წლის ბოლომდე, ხოლო შემდგომ, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, შპს ,,ბიბლუსისთვის" პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.

2. განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო", „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" და „ლანჩხუთი საქართველოსთვის".

3.პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 აგვისტოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4.მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი, ირაკლი ხუხუნაიშვილი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: .„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 18 აპრილის N11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ.** მისი განმარტებით, განსახორციელებელი ცვლილების ფარგლებში დადგენილებით დამტკიცებულ ფორმებს ემატება შემოწმების აქტისა (მითითების გარეშე) და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ მშენებლობის შეჩერების შესახებ მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის მიზნით განსახორციელებელი სამშენებლო ობიექტის ადგილზე დათვალიერების ოქმის ფორმები. ასევე უკვე დამტკიცებული ფორმები დაკორექტირდა „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს შესაბამისად.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 18 აპრილის N11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 აგვისტოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

2.მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, შოთა ჩაგუნავა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

სხვადასხვა საკითხები არ განხილულა.

ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი